მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული
დაგეგმარების საკითხთა
კომისიის სხდომა

ოქმი №6

ქ. მარტვილი 6 ივლისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12^{00} სთ-ზე, დამთავრდა 13^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: შალვა ბახია, ლევან სურმავა, კობა დარჯანია, ზურაბ მელიავა, შალვა თაფლაძე, ზაურ ჯახუა.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა ბახია.

სხდომის თავმჯდომარემ შალვა ბახიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, მშვიდობის ქ №2-ში მდებარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ს.კ 41.09.37.261.01.502 (ქ. მარტვილის №2 საბავშვო ბაღის მიერ დაკავებული 806.90 კვ.მ ფართი) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ: 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ 41.13.32.257 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1328 კვ.მ. და 452 კვ.მ. ნაკვეთების იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (9600 ლარი) განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.

მოისმინეს 1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა

ბახიას მოხსენება, მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, მშვიდობის ქ №2-ში მდებარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ს.კ 41.09.37.261.01.502 (ქ. მარტვილის №2 საბავშვო ბაღის მიერ დაკავებული 806.90 კვ.მ ფართი) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ: 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიამ კენჭისყრის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება:
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 6. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, მშვიდობის ქ №2-ში მდებარე, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ს.კ 41.09.37.261.01.502 (ქ. მარტვილის №2 საბავშვო ბაღის მიერ დაკავებული 806.90 კვ.მ ფართი) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ: 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.
მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ 41.13.32.257 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1328 კვ.მ. და 452 კვ.მ. ნაკვეთების იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (9600 ლარი) განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიამ კენჭისყრის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება:
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 6. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს.კ 41.13.32.257 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1328 კვ.მ. და 452 კვ.მ. ნაკვეთების იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (9600 ლარი) განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: შალვა ბახია